განხილულია შპს სკოლა-გიმნაზია პირველის პედ. საბჭოს
სხდომაზე ოქმი№ 1 08/09/202 დამტკიცებულია შპს სკოლა-გიმნაზია პირველის

დირექტორის მიერ 08.09.2025 ბრ. 2-58

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

სასკოლო გეგმა-კონცეპტუაური ნაწილი

2025-2026

შინაარსი

1. შესავალი
2. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი
3. სკოლის ფილოსოფია
4. სასწავლო პროცესის ორგანიზება
5. პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი
6. სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესები
7. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებისმონიტორინგის მექანიზმები
8. კურიკულუმის განვითარება
9. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და მატერიალური მხარდაჭერა
10. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
11. საინფორმაციო რესურსები
12. ფინანსური რესურსები
13. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სერვისები
14. სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია
15. არაფორმალური განათლება
16. მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში
17. ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები
18. სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
19. დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში
20. სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათება
21. სასწავლო შინაარსი
22. სწავლა-სწავლების მეთოდები
23. შეფასება
24. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შესავალი

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის N4261 დადგენილების გავალისწინებით.

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, სრული ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე დაწყებით (I-VI კლ), საბაზო (VII-IX კლ), საშუალო (X-XII კლ).

სასწავლო სასკოლო გეგმა შედგენილია განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, (გარდა ისგ) სკოლის დირექტორი მიერ

სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი

1. პედაგოგები სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს ეცნობიან ს/წლის დაწყებამდე პედაგოგიურ საბჭოზე და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ შესწორებები და დამატებები. კორექტირებული სასკოლო გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორი მიერ და ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის გაცნობა.
2. მშობლებს დამრიგებლები სასკოლო სასწავლო გეგმას აცნობენ პირველივე მშობელთა კრებებზე, არაუგვიანეს სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი კვირის ბოლომდე. ასევე ისინი ეცნობიან სკოლის შეფასების სისტემას. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებს, მათი აღდგენის ვადებს და სხვა სკოლისათვის აუცილებელ საკითხებს.
3. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა ხდება ნებისმიერ ახალი მოსწავლისა და მისი მშობელის/კანონიერი წარმომადგენელისთვის სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

4. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობას, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით

სკოლის ფილოსოფია

პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი

შპს,, სკოლა-გიმნაზია პირველის“ სასწავლო პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სიღრმისეული სწავლა-პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რომელიც ხელს შეუწყობთ მოსწავლეთა შინაგანი ძალებისგააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სწავლის სტრატეგიების დაუფლებას და მყარი, დინამიერი, ფუნქციური ცოდნის მიცემას.

პოზიტიური სასწავლო გარემო--სკოლა არის ადგილი, სადც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას.

ინკლუზიური განათლება-სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის: ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები განურჩევლად.

ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში. ამისთვის სკოლაში არსებობს ადაპტირებული ფიზიკური გარომო, მრავალფეროვანი რესურსები, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება.

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სკოლის მისიაა -იზრუნოს მოსწავლეებში სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. მოსწავლის ინტერესების , მიდრეკილებების გამოვლენაზე, დამოუკიდებელი სწავლისა და შრომის უნარების

განვითარებაზე, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაზე.

სკოლის ხედვა- მივცეთ მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება, ისეთ სასკოლო გარემოში, სადაც ყველა ბავშვი ბედნიერია, სადაც ვსწავლობთ და ვასწავლით ერთმანეთს.

სკოლის ღირებულებები;

სკოლა განსაზღვრული მისიის მიღწევას უზრუნველყოფს შემდეგი პრონციპების გათვალისწინებით:

გუნდურობა-ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს და ვცვლით იდეებს და ცოდნას, რითაც წვლილი შეგვაქვს როგორც სკოლის განვითარებაში. ასევე საკუთარ პროფესიულ განვითარებაში
თანასწორობა: სკოლის საზოგადოების ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლებები. ეს უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციით.
ზრუნვა: სკოლა ქმნის მზრუნველ გარემოს, რისთვისაც ყველა გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარდამჭერის პოზიციიდან.
გამჭვირვალობა: სკოლის საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ხედვები და ღირებულებები, მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

სტრატეგიული მიზნები

1. **მართვის სისტემების სრულყოფა**

ხედვა-სკოლას მართავს დირექტორი, რომელიც არის ასევე სკოლის ერთ - ერთი დამფუძნებელი. განსაზღვრავს საკადრო პოლიტიკას, არეგულირებს სასწავლო -სააღმზრდელო პროცესს.

- სკოლას მიაჩნია, რომ აუცილებელია ფუნქციათა თანამიმდევრული გადანაწილება დასაქმებულთა შორის და მათი ზუსტი შესრულება, სკოლის დებულებით, შინაგანაწესით და საქართველოში მოქედი კანონმდებლობის დაცვით;
- სკოლაში გადაწყვეტილების მომზადება და მიღება განხორციელდება საჯაროობისას და გამჭვირვალობის პირობებში, თანამშრომელთა ნდობისა და ურთიერთმომთხოვნელობის მაღალი კულტურის გათვალისწინებით

პროგრამა –სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რაც მუდმივად განახლებადია და ამ პროცესში მონაწილეობს დასქმებულთა დიდი ნაწილი;

2. მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა

ხედვა –სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, შენობის ფუნქციური და ესთეთიკური მხარის მუდმივად წესრიგში ყოფნა, ელექტრო გაყვანილობის, წყალმომარაგების და გათბობის სისტემების შეუფერხებლად მუშაობა; კომპიუტერული ბაზის გაძლიერება, სპორტული ბაზის გაუმჯობესება;

3. ხარისხის უზრუნველყოფა

ხედვა -სკოლის მისიის შესასრულებლად მნიშვნელოვანია სკოლაში ხარისხის სისტემების დანერგა. ხარისხის მართვის პოლიტიკის განსაზღვა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/ სტრუქტურის განსაზღვრა/.

პროგრამა –სკოლაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების, მონიტორინგის და შეფასების დანერგვა. სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა

4. **საკადრო პოტენციალის უზრუნველყოფა**

ხედვა – სკოლას მიაჩნია, რომ გამოცდილი, პროფესიონალი და მოტივირებული თანამშრომელი წარმატების გარანტიაა.

პროგრამა –სკოლისთვის პრიორიტეტია ახალგაზრდა პედაგოგების დასაქმება, რომლების მოტივირებული არიან პროფესიულ განვითრებაზე და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე სასწავლო პროცესში.მნიშვნელოვანია მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემის დანერგვა, სახელფასო პოლიტიკს გაძლიერება. სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია წახალისებისათვის სპეციალური ფონდის შექმნა და ფონდისათვის სახსრების გამოყოფა სკოლის შემოსავლებიდან.

5.არაფორმალური განათლების გაძლიერება.

ხედვა- სკოლის მისიის მისაღწევად მნიშვნელოვანია, საგაკვეთილო აქტივობების გარდა მოსწავლეებს შეთავაზები ჰქონდეთ მრავალფეროვანი არაფორმალური აქტოვობები. ეს იქნება კლუბების სახოთ, მოსწავლეთა ივიციატივების მხარდაჭერით თუ მრავალფეროვანი შემოქმედებითი და შემეცნებით ღონისძიებებით.

პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი

სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

სიღრმისეული სწავლა-გულისხმობს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, რომელიც ხელს შევუწყობთ მოსწავლეთა შინაგანი

ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სწავლის სტრატეგიების დაუფლებას და მყარი, დინამიერი, ფუნქციური ცოდნის მიცემას.

პოზიტიური სასწავლო გარემო--სკოლა შექმნის ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას.

ინკლუზიური განათლება-სკოლა ,,ბრიტანიკა" უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის: ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები განურჩევლად.

ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში. ამისთვის სკოლაში არსებობს ადაპტირებული ფიზიკური გარომო, მრავალფეროვანი რესურსები, სწავლების დიფერენცირებული მიდგომა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება.

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესები

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის/ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოციელების შუაში და ბოლოს. ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი გარემოებების დადგომიდან გონივრულ ვადაში.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში და ითვალისწინებს მათ უკუკავშირს. უკუკავშირი შესაძლებელია მიღებული იქნას სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ან წერილობით (მათ შორის, სკოლის ელექტრონულ მისამართზე გადმოგზავნით). სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე,

შეფასების შედეგები სკოლის ადმინისტრაცია აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სკოლის თანამშრომლები წარმოადგენენ ანგარიშებს, თანდართული მტკიცებულებებით, განხორციელებული საქმიანობის თაობაზე, მათ შორის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, სკოლის დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/სამი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად. დამტკიცებული ანგარიშე(ბ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე.

კურიკულუმის განვითარება

სკოლას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკივცბული აქვს კურიკულუმის გავითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუემის განვითარების ეტაპებს:

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის დანერგვა;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ გადასინჯვა და რევიზია

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება-სასკოლო კურიკულუმის/სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმა მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის/კონსულტანტის, საგნობრივი კათედრების მონაწილეობით. შემუშვებული სასკოლო კურიკულუმი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრის ყველა მასწავლებელი. სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი **კვირით ადრე** კათედრებს შეთანხმებული და დაგეგმილი აქვთ თემატური მიმართულებები, აღწერილი თემების მიხედვით თუ რა ცოდნა უნდა მისცენ მოსწავლეებს. თემატური მიმართულებების ფარგლებში განსაზღვრული აქვთ ძირითადი და დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რაც დასტურდება შესაბამისი კათედრის სხდომის ოქმით.

კურიკულუმის დანერგვა, რაც გულისხმობს წლის დასაწყისში დაგეგმილი პროცესის განხორციელებას, შემდეგი ეტაპების თანმიმდევრობით.

- ✓ შუალედურ სასწავლო მიზნების დაძლევაში მოსწავლის დახმარება მასწავლებლის მიერ;
- ✓ აქტივობებს და სასწავლო რესურსებს მონიშვნა, რომლებიც ეფექტური გამოდგა ცოდნის კონსტრუირების პროცესში.
- ✓ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრა:
- ✓ გაკეთებული ჩანაწერების საფუძველზე მასწავლებელი საგნობრივი კათედრებისთვის ანგარიშის მომზადება,
- ✓ სასწავლო თემაზე მუშაობასას მასწავლებელი უზიარებს ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ეძებს ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო მეტად ჩართვისთვის.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის სისტემური და უწყვეტი შეგროვება და ანალიზი.

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების, სკოლის დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის/კონსულტანტის, დირექტორის მოადგილის, ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

მონიტორინგი განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ორგანიზებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ინფორმაციის შეგროვება მოხდება სკოლის მიერ გამოყენებული რესურსების, ღონისძიებების, არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, შუალედური შედეგების შესახებ, რომლებიც მართულია გრძელვადიანი შედეგებით. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ინფომაციის საშუალებით კეთდება ანალიზი, რამდენად მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად.

გადასინჯვა და რევიზია-ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- ✓ მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში*:*
- ✓ მოსწავლეთა შედეგები*:*
- ✓ მშობელთა ჩართულობა*:*
- ✓ საგნობრივი კათედრების მუშაობა*:*
- ✓ სკოლის ადმინისტრაციის *მუშაობა*
- ✓ პროცესში ჩართული მხარების მუშაობა

საზოგადოების ინფორმირების საშუალებები

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის გამოიყენება:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ჟურნალი
- სოციალური მედია;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

პერსონალი მართვა-პერსონალის მართვის საკითხები აღწერილია სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით. რომლის მიზანია განსაზღვრავოს ადამინური რესურსების მართვის პროცესების ეფექტიანად წარმართვა, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენას, რეალიზებასა და განვითარებას. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურა, განსაზღვრულია თითოეული დასაქმებული და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. ხარიხის უზრუნველყოფის მექანიზმები ადამიანური რესურსების მართავის პროცესში, ადამიანური რესურსის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების წესები და პირობები.

პერსონალის მხარდაჭერა-პერსონალის მხარდამჭერი ღონისძიებები რეგულირდება ასევე,ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს: ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა კვლევას, პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარებას, თანამშრომელთა მოტივირებას.

პროცესების მართვა- სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა განხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" შესაბამისად. პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი- ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალიტი. იდენტიფიცირებულია სკოლაში მიმდინარე პროცესები და ქვეპროცესები. სკოლის ხარისხის განვითარება ციკლური პროცესია და ეფუძნება დემინგის "PDCA" სქემას. მუშაობის აღნიშნული სისტემა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, სკოლის ძლიერი და სისუსტეების დასადგენად.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება- სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ადამიანის უსაფრთხოების დაცვა სკოლის ტერიტორიაზე. უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , მომდინარეობს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მომზადების პროცესები. უფლოებამოსილ ორგანოებთან შესათანხმებლად გაგზავნილია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის წესები". სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო- სამეთვალყურეო კამერებით. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე და

წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი სამედიცინო მომსახურეობის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის მარეგულირებელ დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლაში სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების თავისებურებებს,სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება გარემოსშექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლისთვის. ამ მიზნით სკოლაში შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტი. ,,ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს მექანიზმები" სკოლაში განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვის მექანიზმები და ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის წესი. ჰყავს ფსიქოლოგი. სკოლაში სტანდარტის შესაბამისად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საშტატო განრიგით გათვალისწინებული შესაბამისი ადამიაური რესურსი.

,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებზე დაყრდნობით , სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების წესი. ასევე ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

შპს ,,სკოლა-გიმნაზია პირველი" მდებარეობს ქ. თბილისში, არდაზიანის 8 -ში. აღნიშნულ მისამართზე განთავსებული შენობა სკოლის საკუთრებაა. შენობა-ნაგებობების საერთო ფართია- 882.60 კვ.მ , ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ი ფართია 397.00 კვ.მ. სკოლის შენობა შიდა აზომვითი ნახაზით- სამსართულიანია, სკოლა აღნიშნულ მისამართზე ფუნქციონირებს 2015 წლიდან . სკოლაში 12 საკლასო ოთახია. გარდა ამისა: 1 კომპიუტერული, სააქტო დარბაზის. მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ფსიქოლოგის (რემედიაციის) და ექიმის კაბინეტი. სკოლას აქვს მცირე ზომის ეზო, სადაც ტარდება მრავალფეროვანის სასკოლო ღონისძიებები, აქტიურან გამოიყენება გახანგრძლივებული სწავლებლის დროს დასვენებისა და სახალისი აქტივობების ჩასატარებლად, ასევე კარგი ამინდის დროს ტარდება თემატური გაკვეთილები.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის მფლობელობაშია ? ერთეული სტაციონარული კომპიუტერი. მათ შორის მოსწავლეებისათვის, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ? კომპიუტერი. ასევე სკოლის მფლობელობაშია ? პროექტორი, ? ქსეროქსის აპარატი და ? პრინტერი.

ფინანსური რესურსები

სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან სრულყოფილად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. სკოლის

ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება.

სკოლის დღის რეჟიმი

სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ერთ ცვლაში. კლასებში მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობაა- 12 მოაწავლე. თუ რომელიმე კლასში მოსწავლეთა რაოდენობამ გადააჭარბა დადგენილ ნორმას, მაშინ ხდება კლასის გაყოფა. სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი. გახანგრძლივებული ჯგუფიში მეცადინეობის დაწყებამდე მოსწავლეებს აქვთ სადილობის და დასვენების საშუალება. კვებას უზრუნველყოფს მშობელი. მოსწავლეებს სახლიდან მოაქთ საკვები და მათთვის განსაზღვრულ დროს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში (ბუფეტში) მიირთმევენ.

2025-2026 სასწავლო წელი იწყება 2025 წლის 15 სექტემბერს;

უქმე დღეების კალენდარი I სემესტრში	უქმე დღეების კალენდარი II სემესტრში
23 ნოემბერი - გიორგობა;	**19 იანვარი** - ნათლისღება; **8 მარტი** - ქალთა საერთაშორისო დღე; **9 მაისი** - ფაშიზმზე გამარჯვების დღე; **26 მაისი** - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ზამთრის არდადეგები: 2025 წლის **30 დეკემბრიდან - 2026 წლის 14 იანვარი**ს ჩათვლით

საგაზაფხულო არდადეგები: 2026 წლის 8-14 მარტი

სააღდგომო დასვენება - 2026 წლის 9 აპრილიდან -13 აპრილის ჩათვლით;

XII კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება - 2026 წლის 20 მაისს;

I კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება - 2026 წლის 27 მაისს;

II-XI კლასელთათვის სასწავლო წელი სრულდება 2025 წლის 15 ივნისს;

სასწავლო წლის კალენდარი

სასწავლო წლის
კალენდარი

გაკვეთილების განრიგი

II-XII კლასის გაკვეთილების

გაკვეთილი	დაწყება	დამთავრება	შესვენება
1.	09:30	10:15	5 წუთი
2.	10:20	11:05	5 წუთი
3.	11:10	11:55	10 წუთი
4.	12:05	12:50	5 წუთი
5.	12:55	13:40	5 წუთი
სადილი II-III_IV კლ.	13:40	13:45	5 წუთი
6.	13:45	14:30	5 წუთი
სადილი V-VI კლ.	14:30	14:35	5 წუთი
7.	14:35	15:20	5 წუთი

I კლასის გაკვეთილების

განრიგი

გაკვეთილი	დაწყება	დამთავრება	შესვენება
1.	09:30	10:05	5 წუთი
2.	10:10	10:45	5 წუთი
3.	11:50	11:25	10 წუთი

4.	11:35	12:10	5 წუთი
5.	12:15	12:50	5 წუთი
სადილი	12:50	13:00	10 წუთი
6.	13:00	13:45	5 წუთი
7.	13:50	14:25	5 წუთი

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სერვისები:

- სავალდებულო საგნები

N	საგნობრივი ჯგუფი	საგანი	კლასები
1	სახელმწიფო ენა	ქართული ენა და ლიტერატურა	I- XII
2	მათემატიკა	მათემატიკა	I- XII
		ჭადრაკი	I-II
3	უცხოური ენები	პირველი უცხოური ენა	I- XII
		მეორე უცხოური ენა(რუსული)	II- XII
4	საზოგადოებრივი მეცნიერებები	მე და საზოგადოება	III-IV
		ჩვენი საქართველო	V-VI
		ისტორია საქართველოს ისტორია	VII- XII X-XI
		გეოგრაფია	VII- XI
		მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება	VII- XII
		სამოქალაქო განათლება /პროექტი/	X-XI
5	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველება	I-VI
		ბიოლოგია	VII-XI
		ფიზიკა	VII-XI
		ქიმია	VIII-XI
6	კომპიუტერული ტექნოლოგიები	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	I –VI
7	ესთეტიკური	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	I- IX

	აღზრდა	მუსიკა /პროექტი/	XI
		მუსიკა	I- IX
		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/პროექტი/	X
8	სპორტი	ფიზიკური აღზრდა/სპორტი	I- XII
		სპორტული ცეკვა	V-VI
სავალდებულო არჩევითი საგნები			
9.	ესთეტიკური აღზრდა	აქ ჩაწერე რა გვქონდა	X
		აქაც	XII

დამატებითი მომსახურების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ წრეებს კლასების მიხედვით:

სადამრიგებლო პროგრამები

სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი.

<u>დამრიგებელს ევალება:</u>

1. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს კლასის მშობელთა სავალდებულო კრება, სადაც დამრიგებელი მშობლებს გააცნობს სკოლის მიზნებს და ხედვებს, მშობლის უფლება-მოვალეობებს, ინფორმაციას სასწავლო საგნებსა და მასწავლებლებზე.

2. დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები. მოსწავლეების აკადემიური მოსწრება, დისციპლინის საკითხები.

3. მოსწავლის დახმარება აკადემიური პრობლემის გადაჭრაში. კერძოდ, შეასრულოს შუამავლის როლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებელს შორის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში.

4. მოსწავლის მიერ არასაპატიო ან დაუდგენელი მიზეზით გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში დაუკავშირდეს მშობელს.

5. საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლის მიერ დისციპლინის სერიოზული დარღვევის, დირექტორის მოთხოვნით ან მოსწავლის ჯანმრთელობის გაუარესების დროს) მშობელს გაუგზავნოს წერილობითი მოწვევა ან დაუკავშირდეს ტელეფონით.

6. ყოველი სასწავლო დღის დასაწყისში მოინახულოს საკუთარი კლასი, შეამოწმოს მოსწავლეთა დასწრება, გააკონტროლოს მოსწავლეების სასკოლო ფორმის ტარება და ვარცხნილობა

7.მოახდინოს მოსწავლის, მშობლისა და ნებისმიერი საგნის მასწავლებლის შეხვედრის ორგანიზება. რაიმე პრობლემის შემთხვევაში ჩაატაროს საკლასო

შეხვედრები არსებული პრობლემის დასაძლევად.

8.საჭიროების შემთხვევში შეხვდეს მოსწავლის მშობელს და შეძლოს გაარკვიოს იგი მოსწავლის სუსტ მხარეებში ყველა საგანთან მიმართებაში.

9.შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები.

10.ყოველი კვირის ბოლოს შეამოწმოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება და მოახდინოს საჭირო რეაგირება.

11.აწარმოოს სადამრიგებლო პორტფოლიო.

12.სუფთად და გარკვევით აწარმოოს კლასის სასკოლო დოკუმენტაცი (მოსწავლის პირადი საქმე)

13.სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში შეიტანოს ყველა საჭირო მონაცემი.

14. აცნობოს სკოლის დირექტორს საკლასო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე. (ექსკურსია ქალაქში ან ქალაქგარეთ, საგნობრივი პრეზენტაციები და სხვა)

15.მოსწავლეებთან ერთად ყურადღება გამოიჩინოს საკლასო ინვენტარის მიმართ და იზრუნოს საკლასო ოთახში წესრიგისა და სისუფთავის შენარჩუნებაზე. შესვენებებზე მოინახულოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები და იზრუნოს კლასის დისციპლინაზე.

სადამრიგებლო კლასის მოწყობის პროცედურა

1. დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას მინიმუმ ერთი კვირით ადრე მოაწყოს თავისი სადამრიგებლო კლასი.
2. კლასის მოწყობა გულისხმობს არა მარტო საკლასო ოთახის გაფორმებას, არამედ სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტაციის გამოკვრას თვალსაჩინო ადგილას.
3. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სკოლის შინაგანაწესი.
- მოსწავლის ქცევის კოდექსი.
- გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა.
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა.
- სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

- **არაფორმალური განათლება**

არაფორმალური განათლების ფარგლებში სკოლაში ფუნქციონირებს ჟურნალისტიკის კლუბი და მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლამ შეიმუშავა „პიროვნული ზრდის და კარიერული დაგეგმარების“ პროგრამა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის

ჟურნალისტიკის კლუბში გაერთიანება ვის შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს სურვილი, ინტერესები და შესაძლებლობის მიხედვით.

როგორ შეიძლება გახდეს კლუბის წევრი მოსწავლე-მან უნდა შეავსოს კლუბის წევრობის განაცხადი

განაცხადი-კლუბში გაწევრიანება | პროფესიული ორიენტაციის და კ | პიროვნული განვითარების და | თვითმართველობა

არაფორმალური განათლების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ექსკურსია. სწორად ორგანიზებული ექსკურსია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო წყაროა.

ჩატარების ფორმით ექსკურსია შეიძლება იყოს:

- ✓ მასობრივი (მისი მონაწილეები გადაადგილდებიან რამდენიმე ავტობუსით);
- ✓ ექსკურსია-გასეირნება (აერთიანებს შემეცნების და დასვენების ელემენტებს, ტარდება ტყეში, პარკში, აა. შ.);
- ✓ ექსკურსია-ლექცია (თხრობა ჭარბობს ჩვენებას);
- ✓ ექსკურსია-კონცერტი (ეძღვნება მუსიკალურ თემას);
- ✓ ექსკურსია-სპექტაკლი (ლიტერატურულ-მხატვრული ექსკურსიის ფორმა, მომზადებული მხატვრული ლიტერატურის კონკრეტული ნაწარმოების საფუძველზე)

არაფორმალური განათლების მიმართულებით 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდება პროექტი - მესამე თაობის ესგ-ის პრიორიტეტული თემებიდან- ადამიანის უფლებები.- ,,ოლიმპოდან -თავისუფლეამდე-ადამინაის უფლებების გზა“

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლის შინაგანაწესში გაწერილი რეგულაციები უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების დაცვას. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, შემუსავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების და საფეხურის დაძლევის წესები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ

წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში. შემუშავებულია განცხადებების/საჩივრების განხილვის წესი.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. სკოლა შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლა აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

სკოლა თანაბრად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის მოხდება განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. სკოლა მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას, ინკლუზიური კულტურის დონის ამაღლებასა და ჩართულობას ინკლუზიური განათლების მხრივ. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სსსმ სტატუსის მინიჭება მოხდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რაზეც სკოლა წერს ბრძანებას და დგება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული

მოსწავლისათვის შედგენილი ინდ.გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შეიქმნება სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას.

სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათება

სწავლა-სწავლების მიზნები (ზოგადი დახასიათება):

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის მიზანია, მოსწავლემ შეძლოს:

- ინფორმაციის გააზრება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით; აზრის/იდეის ჩამოყალიბება მიზნებისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;
- კულტურათა თავისებურებების გათვალისწინება ინფორმაციის აღქმისა და შეფასებისას;
- კანონზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება ახალ სიტუაციასთან მიმართებით; სასწავლო მასალის მეცნიერულ კონტექსტში გააზრება;
- სასწავლო ამოცანებისა და ცხოვრებისეული პრობლემების წარმატებით გადაჭრა მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და მიდგომების საშუალებებით;
- საკუთარი მსოფლმხედველობის რეფლექსია შეძენილი ცოდნის საფუძველზე;
- შეძენილი ცოდნის გამოყენება საკუთარი, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მიზნებისა და საჭიროებებისთვის.
- ეროვნული სასწავლო გეგმაში, აღნიშნულ მიზნებზე დაფუძნებით განსაზღვრულია საგნობრივი ჯგუფის გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებების და სწავლის შედეგები/კომპეტენციები), რომლებიც მოსწავლე განივითარებს თითოეულ საგანის ფარგლებში. გრძელვადიანის მიზნები განსაზღვრულია საფეხურის დონეზე და რეალიზდება სასწავლო თემებში.
- საგნის საფეხურებრივი შედეგები მოიცავს შემდეგ კომპონენეტებს:
- საგნობრივ ცოდნას;
- ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს
- აღმზრდელობით-ღირებულებით ასპექტს/ასპექტებს.

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ხდება სასწავლო პროცესის დაყოფა შუალედურ სასწავლო მიზნებად, რომელიც წარმოდგენილის სასწავლო თემის სახით და განისაზღვრება სკოლის საჭიროებებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. შედეგი მიღწეულია თუ, მოსწავლე შეძლებს საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და

ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება.

სასწავლო შინაარსი

სასწავლო გეგმაში შინაარსები მოცემულია სავალდებულო საგნების მიხედვით. სავალდებული საგნის ფარგლებში განსაზღვრულ სამიზნე ცოდნას (იგივე ქვესაკითხს/საკითხს) გააჩნია სამი ასპექტი: დეკლარატიული (წესები, განმარტებები, ფაქტები), პროცედურული (პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის დამუშავებაში გვეხმარება) და პირობისეული (კავშირი ცხოვრებისეულ კონტექსტებთან; პასუხი შეკითხვაზე - სად და როდის გამოვიყენებ ამ ცოდნას). შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი დავალების სახით, რომელზეც მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნაზეა აგებული. სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისათვის.

სკოლა უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია ,მონიტორები და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლას შემუსავებული აქვს სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესებს (მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი).

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები

ბ) დამხმარე ლიტერატურა;

გ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები;

დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);

ე) ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.

სახელმძღვანელოების შერჩევა, მათ შორის დამატებით რესურსების შერჩევა/ვალიდაცია ხდება მასწავლებლების მიერ და განიხილება საგნობრივ კათედრებზე. არჩეული სახელმძღვანელოების სია ხელმისაწვდომია ყველასთვის. გაზიარებულია კლასების ფეისბუქგვერდებით. ასევე დამრიგებლის საშუალებით ხდება მშობლებთან და მოსწავლეებთნ გაზიარება.

სწავლა-სწავლების მეთოდები

სკოლაში 2025-2026 სასწავლო წელს, სასწავლო პროცესის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- საგანთა შორის ინტეგრირება
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება

- პროექტული სწავლება
- დიფერენცირებული მიდგომები

დიფერენცირებული სწავლების მახასიათებლები

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს სწავლების ტემპის, სირთულის ხარისხის,მეთოდების მოდიფიცირებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების, სწავლის სტილის ან ინტერესების გათვალისწინებით.

დიფერენცირებული სწავლებაკვალდაკვალ მისდევს სწავლის პროცესში მოსწავლეების მიერ მიღწეულ პროგრესს -ითვალისწინებს იმას, თუ რა იციან მოსწავლეებმა მოცემული დროისთვის, და, რაცოდნის შეძენას საჭიროებენ.

დიფერენცირებული სწავლება ეფუძნება პირობას, რომ სასწავლო გამოცდილებები მაშინარის ეფექტური, როდესაც ისინი მოსწავლეებისთვის საინტერესო, რელევანტური დამომხიბვლელია. შესაბამისად, ამგვარი სწავლისთვის, მოსწავლეები ყოველთვის ერთსადა იმავე გზებს არ ირჩევენ. გარდა ამისა, დიფერენცირებული სწავლების ფარგლებში,გაცნობიერებულია, რომ ცოდნა, უნარები და შემეცნება უნდა ეფუძნებოდეს წინარეცოდნას, უნარებსა და შემეცნებას - და ყველა მოსწავლეს არ აქვს სწავლის ერთნაირისაფუძველი.

დიფერენცირებული სწავლება გულისხმობს მოდიფიკაციებს სწავლების შემდეგ ელემენტებში: **შინაარსი**, **პროცესი და პროდუქტი**. ამ სამი ელემენტისდიფერენცირებისას მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან მიდგომებს სასწავლოშინაარსის, სწავლის მეთოდებისა და ნასწავლის დემონსტრირების მიმართულებით.

შინაარსის დიფერენცირება: შინაარსი არის ის, თუ რას ვასწავლით მოსწავლეებს, და რა გვინდა, რომ მათ იცოდნენ. შინაარსის დიფერენცირება მოითხოვს დაფიქრებას შემდეგ საკითხებზე: 1.ადაპტირება იმ შინაარსის, რასაც ვასწავლით; 2. ადაპტირება შინაარსზე წვდომისმეთოდების.

შინაარსის დიფერენცირება შეიძლება მოსწავლეების მზაობის ხარისხის,ინტერესებისა და სასწავლო პროფილების შესაბამისად. შინაარსის დიფერენცირება მზაობის შესაბამისად გულისხმობს მოსწავლეებისთვისმიწოდებული რესურსების ან ინფორმაციის მოსწავლეების კომპეტენციებზე მორგებას. შინაარსის დიფერენცირება ინტერესების შესაბამისად ნიშნავს საგნობრივკურიკულუმში იმ იდეებისა და რესურსების ინტეგრირებას, რომლებიც ეფუძნებამოსწავლეების ინტერესებს ან აფართოებს მათ. შინაარსის დიფერენცირება სასწავლო პროფილების მიხედვით ნიშნავს, რომმოსწავლე უზრუნველყოფილია მასალის/ინფორმაციის გაგების ისეთი საშუალებებით,რომლებიც შეესაბამება სწავლისადმი მის მიერ არჩეულ მიდგომებს.

პროცესების დიფერენცირება: რაც შეეხება სწავლების პროცესებს, მასში იგულისხმება სწავლების წარმართვის გზები. დიფერენცირებულ სწავლებაში ის, თუ, რა გზით წარმართავს მასწავლებელი სწავლებას, მოსწავლეების სასწავლო პროფილების და პრიორიტეტების გათვალისწინებას გულისხმობს. პროცესების მოდიფიცირება შესაძლებელია დავალებების სირთულის ხარისხის გაზრდით, მოსწავლეების კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნების პროცესებში ჩართვით, ასევე, სწავლების მრავალფეროვანი გზების შეთავაზებით.

შესაძლებელიაისეთი აქტივობის შეთავაზება, რომელშიც სასწავლო შინაარსი იგივეა, ხოლო დასწავლის და გადამუშავების გზები - სხვადასხვა.

პროდუქტის დიფერენცირება: პროდუქტი წარმოადგენს სწავლის საბოლო, ხელშესახებ შედეგს, ასეთია, მაგალითად:ანგარიში, ბროშურა, მოდელი, დიალოგი, მოხსენება, დებატები; ასევე, აქტივობები,როგორებიცაა: იმიტაცია, ცეკვა, იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა. პროდუქტი ასახავს მოსწავლეების მიერ შეძენილ ცოდნას და მის გამოყენებას. პროდუქტის დიფერენცირებისთვის, შესაძლებელია, მოსწავლეებს შევთავაზოთ რაიმე გამოწვევა, ასევე, შეძენილი ცოდნის გამოსავლენად შევთავაზოთ სხვადასხვა მეთოდი.შესაძლებელია, მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს, შექმნან პროდუქტი, რომელიცმათი სწავლის ძლიერ მხარეებს უკავშირდება (მაგ, მოსწავლე კარგი ვიზუალური უნარებით ქმნის ნახატს; ასევე, შესაძლოა სთხოვოს მოსწავლეებს იმუშაონ იმ მიმართულებით, რომელიც არ არის მათი ძლიერი მხარე (მაგ. მოსწავლეს, რომელსაც სივრცის აღქმის სირთულე აქვს, დაევალოს განსხვავებული ტიპის პროდუქტის მომზადება - მაგ., სივრცული ფიგურის/მოდელის მომზადება). საერთო ჯამში, პროდუქტის დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლეების წახალისებით, მიიღონ გამოწვევის შემცველი დავალება, შეიმუშაონ იდეები, იპოვონ ცოდნის გამოვლენის უნიკალური გზები.

მოსწავლის შეფასება დიფერენცირებულ კლასში

დიფერენცირებული სწავლების მიზანია, გაზარდოს ალბათობა იმისა, რომ მოსწავლეები წარმატებული მსწავლელები დადგებიან. აღნიშნულის მისაღწევად კი კარგი გზაა მოსწავლეების უკეთ გაცნობა და გაგება იმისა, თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან ინტერესების, სასწავლო პრიორიტეტებისა და სწავლის ტემპის, მზაობისა დამოტივაციის მიხედვით. შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება ინფორმაციის შეაგროვება მოსწავლის აკადემიური ისტორიის, ინტერესების, დასწავლის შერჩეული გზებისა, ცოდნისა და უნარების მიმდინარე ხარისხის შესახებ. ინფორმაციის მოგროვების დაწყება შესაძლებელია მოსწავლეების აკადემიური ისტორიებიდან. თუკი სკოლაში ინახება მოსწავლის პორტფოლიო/პირადი საქმე ან ინფორმაციის შემკრები სხვაასეთი დოკუმენტი, შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მოსწავლის აკადემიური სახის ძლიერ დასუსტ მხარეებზე. მოსწავლეების ინტერესების გასათვალისწინებლად რეკომენდებულია, გაირკვეს, თუ რითი არიან დაინტერესებული მოსწავლეები, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ; როგორ აღიქვამენ საკუთარ თავს მოსწავლის როლში, და, რა სახით მოსწონთ სწავლა. ამისთვისაც, რეკომენდებულია, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი უნდა დაიგეგმოს დიფერენცირებული აქტივობები, რომლებიც უპასუხებს მოსწავლეების მოთხოვნებს. მოსწავლეების წარმატების ალბათობის გასაზრდელად საჭიროა, გავიგოთ მოსწავლეების აკადემიური მზაობის ხარისხი, ამისათვის შესაძლებელია წინასწარი შეფასებების, მაგალითად, **პრე-ტესტების გამოყენება. წინასწარი შეფასებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმების/კურიკულუმების მოდიფიცირებისთვის, რომ მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეების საჭიროებებს - ითვალისწინებდეს მოსწავლეების არსებულ და შესაძენ ცოდნას/უნარებს.** დიფერენცირებული სწავლება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმარებას, რაც მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, გაუწიოს მოსწავლის სწავლის პროცესს ადეკვატური ფასილიტაცია, თუკი კარგადაა შესწავლილი მოსწავლეების ინტერესები ამის საფუძველზე მასწავლებელი მარტივად დასახავს მოკლევადიან სასწავლო მიზნებს, შეარჩევს შესაბამის სწავლების მეთოდებს და უწყვეტად განახორციელებს განმავითარებელ შეფასებას.

შეფასების მონაცემების შეგროვება და გამოყენება დიფერენცირებული სწავლებისხელშეწყობისთვის სამ ეტაპად ხორციელდება:

- ✓ სწავლების დაგეგმვა წინასწარ შეფასებასთან ერთად;
- ✓ სწავლების განხორციელება განმავითარებელ შეფასებასთან ერთად;
- ✓ სწავლების შეფასება განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად.

დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტები:

- ✓ სასწავლო მენიუ -
- ✓ სასწავლო გაჩერებები
- ✓ შეარჩიე საკითხავი მასალა
- ✓ აირჩიე პროექტი
- ✓ კითხვები ინტერესების მიხედვით
- ✓ წერითი დავალება ,,რაფ თ“

სასწავლო მენიუ- ერთგვარ მეგზურობას უწევს მოსწავლეს. ის გამოიყენება მოსწავლეთა სწავლის ფასილიტაციისთვის. სასწავლო მენიუ აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, საკუთარი სწავლის ტემპის (ერთი ან რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, ან საკლასო/საშინაო სამუშაოებთან ერთობლიობაში), ინტერესების ან მზაობის დონის მიხედვით შეარჩიონ სასწავლო მენიუში მოცემული აქტივობები. მოსწავლეს შეუძლია შერჩეული აქტივობის შესრულება დაიწყოს გაკვეთილზე და დაასრულოს სახლში, როგორც საშინაო დავალება.

სასწავლო გაჩერებები -ეს არის სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ერთობლიობა, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და მიაღწიონ დასახულ მიზანსსასწავლო გაჩერებების მოწყობა შეიძლება მერხებით/მაგიდებით, საკლასო ოთახში არსებული სივრცისა და გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს თითოეულ გაჩერებაზე ხვდებათ შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია. მოსწავლეები ერთ კონკრეტულ „გაჩერებასთან“ ატარებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ სამუშაოს, რის შემდეგაც გადაადგილდებიან შემდეგ გაჩერებაზე. ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ მოსწავლეთა ყველა ჯგუფი არ შეასრულებს თითოეულ გაჩერებაზე მოცემულ დავალებას.

მასალაშეარჩიე საკითხავი-საკითხავი მასალის შერჩევა სწავლების დიფერენცირების სტრატეგიაა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მოსწავლის მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. ამ სტრატეგიის არსი საკმაოდ მარტივია: დამოუკიდებელი ან ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხავ მასალას. მოსწავლეებს ჯგუფური ან ინდივიდუალური სამუშაოსთვის შეუძლიათ აირჩიონ მათთვის უფრო მიმზიდველი საკითხავი მასალა.

აირჩიე პროექტი -ინსტრუმენტი „აირჩიე პროექტი“ იძლევა სწავლების დიფერენცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. მოსწავლეებს სურვილის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით შეუძლიათ აირჩიონ, რა ტიპის და შინაარსის პროექტს შეასრულებენ. მათ მიერ გაკეთებული არჩევანი ცხადყოფს, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი სასწავლო მიზანათან.

კითხვები ინტერესების მიხედვით - მოსწავლეთათვის ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებშიც გათვალისწინებულია მათი ინტერესები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესასწავლი თემა მათთვის რთულ საკითხებს მოიცავს
წერითი დავალება „რაფთ“- გულისხმობს მოსწავლის გააზრებულ არჩევანს წერითი დავა-ლების შესრულებისას, რომელიც ხელს უწყობს დიფერენცირებულ სწავლებას. **„რაფთ“** არის შემდეგი სიტყვების აკრონიმი:**რ**ოლი; **ა**უდიტორია;**ფ**ორმა;**თ**ემა.
მოსწავლეების ვიდრე წერას დაიწყებენ, მათ უნდა გადაწყვიტონ, ვის **როლს** მოირგებენ, ვისი პოზიციის გამოხატვას შეეცდებიან საკუთარი ნაწერით. ამის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეარჩიოს **აუდიტორია**, რომელსაც მიმართავს. როლისა და აუდიტორიის შერჩევის შემდეგ, მოსწავლე გადაწყვეტს, რა **ფორმით** სურს სათქმელის გამოხატვა და კონკრეტულად რომელ **თემაზე** სურს აქცენტის გაკეთება

შეფასება

მოსწავლის შეფასების პრინციპები,მიზნები და ამოცანები

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვა. შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.
შეფასების ძირითადი ამოცანებია:

- ✓ მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- ✓ მოსწავლის მიღწევების / სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნა
- ✓ მონაცემების შექმნა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად
  სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო პროცესში გამოიყენებს ორი ტიპის შეფასებას: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასების დროს გამოყენებული იქნება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმა: სიტყვიერი ან წერილობითი კომენტარი, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასების სქემა, ურთიერთშეფასების კითხვარი და სხვ. განმსაზღვრელი შეფასებად სკოლას განსაზღვრლი აქვს სამკომპონენტიანი შეფასება: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება. განმსაზღვრელი შეფასება 10 ქულიანია.

შპს სკოლა-გიმნაზია პირველში შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილი იქნება 3 წლის ვადით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10 9	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
8 7	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
6 5	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე შეფასდება განმავითარებელი შეფასებით. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები დაწერენ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელი, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში გამოყენებული იქნება როგროც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება. არადიფერენვირებული შეფასება ,,ჩათვლა“ გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში და არჩევით საგნებში .

დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1.სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) **მიმდინარე საშინაო დავალება;**

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

შეფასებისკომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

სკოლაში გამოიყენება შემაჯამებელი დავალების შემდეგი ფორმები: ესე, თხზულება, მოხსენება, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, კომპლექსური ტესტი(ღია/დახურული პასუხებით, ტექსტის ანალიზი, ტექსტის გაგება-გააზრება, ა.შ) კომპლექსური დავალება და სხვ.

შემაჯამებელი დავალების ჩატარების წესები და პირობები

შემაჯამებელი დავალების ჩატარებამდე 10 დღით ადრე მოსწავლეები ინფორმირებული არიან, შემაჯამებელი დავალების თემაზე, ფორმასა და შეფასების კრიტერიუმებზე.

მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასისთვის განსაზღვრული ყველა შემაჯამებელი დავალება, თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა აძლევს საშუალებას, აღადგინოს გაცდენილი შემაჯამებელი დავალება სემესტრის დასრულებამდე. აღდგენილი შემაჯამებელი დავალება უნდა ჩატარდეს იმავე თემაზე, იმავე ფორმატით მხოლოდ განსხვავებული ვარიანტით. თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის, გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

განმსაზღვრელი შეფასების სახეები:

საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე. სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით.

საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების და საგნის წლიური გამოცდის(არსებობის შენთხვევაში) შედეგების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

საგნის საფეხურის ქულა - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

საფეხურის ქულა გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

კლასისა და საფეხურის დაძლევა

კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში თუ მოსწავლეს კლასში რომელიმე საგანში აქვს 5.0-ზე დაბალი წლიური შეფასება, სკოლა მოსწავლეს შესთავაზებს რემედიაციის პროგრამას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად შეიქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით. რემედიაციის პროგრამაში ჩართული მოსწავლის მობილობის შემთხვევაში მიმღები სკოლა მოსწავლეს რიცხავს ასაკის შესაბამის კლასში და იღებს ვალდებულებას რემედიაციის გზით საგნის/საგნების დაძლევის თაობაზე. რემედიაციის პროგრამა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმის სახით სკოლა შესთავაზებს იმ მოსწავლეებსაც, რომლებიც არიან სკოლის მიღმა ან იმყოფებიან სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ.

რემედიაცია -არის სწავლაში ხარვეზების აღმოფხრაზე ორიენტირებული სწავლება. რემედიაციაეხება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც აღმოაჩნდათ ცოდნის და უნარ-ჩვევების მნიშვნელოვანი ხარვეზები განმავითარებელი შეფასების მონაცემების მიხედვით.

რემედიაცია არის შესაძლებლობა იმისა, რომ დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შევთავაზო თ იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით სწავლების პირობებში ვერ შეძლეს ძირითადი ცნებების ათვისება და უნარ-ჩვევების განვითარება დამაკმაყოფილებელ დონეზე.

რემედიაციის პროგრამაში ჩართვამდე, პირველ რიგში უნდა დავადგინოთ, რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს და ამის შემდეგ დავგეგმოთ შესაბამისი ინტერვენცია. იდენტიფიცირება ხდება შემდეგი ჩამოთვლილი საფეხურების დახმარებით:

- პრობლემის ინდენტიფიცირება
- პირველადი დიაგნოსტიკა და ინდივიდუალური გასაუბრება მოსწავლესთან.

- მოსწავლის მოსწრების ანალიზი სხვადასხვა საგანში.
- მშობელთან გასაუბრება, თანხმობა პროგრამაში ჩართვაზე

მშობლის თანხმობის შემდეგ იქმნება სარემედიაციო ჯგუფი. სარემედიაციო ჯგუფი მუშაობაახორციელებს შემდეგი თანმიმდევრობით:

- სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილების გეგმების შედგენა;
- სარემედიაციო გაკვეთილების წარმართვა;
- პროგრესის მონიტორინგი, შუალედური შეფასება;
- ბოლო ეტეაპი შემაჯამებელი შეფასებაა.

რემედიაცია შეიძლება მიმდინარეობდეს სამი ძირითადი ფორმატით:

1. **გაკვეთილში ჩაშენებით**-მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში ერთ ან რამდენიმე მოსწავლესმიზნობრივად უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს
2. **გაკვეთილისგან მოწყვეტით** -გაკვეთილის მსვლელობისას ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მცირე ხნით, კლასში ანკლასის გარეთ, სხვა/დამხმარე მასწავლებელი უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.
3. **დამატებითი გაკვეთილის სახით**-არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმემოსწავლეს მიზნობრივად უტარდება კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ.

რემედიაციის მიზნების დასახვისთვის დიდად სასარგებლო და გამოსადეგი SMART - სტრატეგია

S – კონკრეტული (specific)	სარემედიაციო პროცესის/მეცადინეობების მიზანი ძალიან მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული და ერთ კონკრეტულ კომპეტენციაზე ორიენტირებული.
A – მიღწევადი (achievable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგად მოსწავლემ უნდა შეძლოს დასახული მიზნის მიღწევა / კომპეტენციის გამომუშავება განვითარების აქტუალურ ზონაზე დაყრდნობით.
M – გაზომვადი (measurable)	სარემედიაციო მეცადინეობების შედეგი უნდა იზომებოდეს კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით.
R – რელევანტური **(relevant)**	სარემედიაციო აქტივობები ლოგიკურად უნდა ებმოდეს ერთმანეთს და შეესაბამებოდეს მოსწავლის საჭიროებებსა და დასახულ მიზნებს.
T **– დროში განსაზღვრული** **(timely)**	უნდა განისაზღვროს სარემედიაციო პროცესის ხანგრძლივობა და ძირითადი ფაზები.

რემედიატორი მასწავლებლის როლი სკოლაში დიდია. მას უწევს იმ მოსწავლეებთან ურთიერთობა, რომლებსაც გარკვეული პრობლემები გააჩნიათ სწავლაში. რემედიაციულ მიდგომებში ყველაზე მეტად გამოსაკვეთი გახლავთ,ის რომ მედიატორმა მასწავლებელმა რემედიაციული პროგრამის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს: სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპები, ასაკობრივი, თუ ინდივიდუალურ მიდგომები. რათა საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო პროცესი დანერგოს. რემედიაციის პროგრამა ნებისმიერ მასწავლებელს აძლევს საშუალებას გაუადვილოს მოსწავლეს ყველა სირთულე და გაიყვანოს შედეგზე.

სსსმ მოსწავლის შეფასება

თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში. მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას.

დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

შეფასება და გაცდენები

მოსწავლეთა გაცდენები ასახვა ხდება სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. schoolbook.ge გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.

სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი.

გამოცდის ტიპები

2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები.

- ✓ სემესტრული გამოცდა;
- ✓ წლიური გამოცდა;
- ✓ საშემოდგომო გამოცდა;
- ✓ ექსტერნატის გამოცდა.

სკოლა ასევე სემესტრულად და წლის განმავლობაში საჭიროების მიხედვით ჩაატარებს შუალედურ სადიაგნოსტიკო წერებს, რომელიც დაეხმარება საგნობრივი მიმართულებების სწავლების ხარისხის განსაზღვრაში.

სემესტრული გამოცდა

სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ სემესტრული ქულის ასამაღლებლად
სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში.

მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ მიიღებს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.

მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

წლიური გამოცდა

2025-2026 სასწავლო წელის წლიური გამოცდის განრიგი

წლიური
გამოცდები

წლიური გამოცდის ქულას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას, წლიური გამოცდის ქულა დაემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი გაიყოფა სამზე.

საშემოდგომო გამოცდა

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა მოსწავლეს შესთავაზებს რემედიაციის პროგრამას.

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი:

დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის კომისიის თავჯდომარე და იმ საგნის პედაგოგები რომელშიც დანიშულია გამოცდა. საგამოცდო კომისია ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს. კლასის დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს. გამოცდის შემდეგ შედგება უწყისი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. თუ კომისიის რომელიმე წევრს განსხვავებული აზრი აქვს, იგი უფლებამოსილია თავი შეიკავოს ხელმოწერისაგან. ასეთ შემთხვევაში იგი განსხვავებულ აზრს წერილობითი ფორმით დაურთავს უწყისს.

ექსტერნატის ფორმით გამოცდა

საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების

ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და

ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც

მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შესასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანად აღრიცხვას დ ა შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების ვერიფიკაცია ამოწმებს შეფასების სისტემას 5 მახასიათებლის მიხედვით:

- ✓ ვალიდურობა
- ✓ სანდოობა
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ ობიექტურობა
- ✓ სამართლიანობა

შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.
შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

2. ვერიფიკაციას ხორციელდება სამი მიმართულებით:
   - ✓ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ;
   - ✓ პროცესის ვერიფიკაცია;
   - ✓ მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

3. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს:
   - ✓ შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა);
   - ✓ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი;
   - ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები;
   - ✓ ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ)

4. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ორგანიზებით.

5. ვერიფიკაციის მიზნით, სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი.

6. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი (ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობად შემუშავების პროცესში).

ვერიფიკაციის მექანიზმი და განხორციელების ეტაპები

1. ვერიფიკაცია წარიმართება შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“ მიერ შექმნილი წესის შესაბამისად. რომელიც პასუხობს სტანდარტის ყველა გამოწვევას.

2. შედეგების სწორი ანალიზი - არის შეფასების პროცესისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის, დაგეგმვის, შედეგის გაუმჯობესებისა და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის შესაძლებლობა.

3. ვერიფიკაცია განხორციელების ეტაპებია:

- ✓ ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა
- ✓ რისკების განსაზღვრა
- ✓ ვერიფიკაციის განხორციელება
- ✓ შედეგის ანალიზი
- ✓ უკუკავშირი - დაგეგმვა

ვერიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის შექმნა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს , რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ჯგუფი შედგება: ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის, აკადემიური დირექტორი, საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი (ვერიფიკატორი),და საგნის მასწავლებელი .

ხარისხის მართვის მენეჯერი

- უზრუნველყოფს პროცესი განხორციელდეს სკოლის სერვისით შეთავაზებული ყველა საგნისთვის.
- კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და შესაბამისი კადრების შერჩევას ვერიფიკატორად;
- უზრუნველყოფს შიდა ვერიფიკატორებისათვის მეთოდური მითითებების მიცემას;
- უზრუნველყოფს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) პროცესის მონიტორინგსა/ შეფასებას და სკოლის დირექტორისთვის ანგარიშის წარდგენას
- კოორდინირებას უწევს კადრების შემდგომი გადამზადება/განვითარების პროცესს, რომელიც ეფუძნება ვერიფიკატორებისაგან მიღებულ ინფორმაციას საგნის მასწავლებლის იდენტიფიცირებული საჭიროებების შესახებ;

დირექტორის მოადგილე

- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისთან ერთად განსაზღვრავს განრიგს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორცილებელ ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნულ განრიგში ეთითება ვერიფიკაციის განხორციელების სავარაუდო პერიოდი და ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები.
- კოორდინირებას უწევს ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვას და შესაბამისი კადრების შერჩევას ვერიფიკატორად;
- კოორდინაცია უწევს მტკიცებულებების და ინსტრუმენტების შეგროვებას.

ვერიფიკატორი

კონკრეტული საგნისთვის:

- ამოწმებს და ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობასა და სანდოობას;
- არჩევს შეფასების ნიმუშებს შეფასების პროცესის მონიტორინგის მიზნით;

- ამოწმებს და ადასტურებს შემფასებლის მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
- ახდენს შემფასებლების სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციას და მიღებულ ინფორმაციას აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს.

შემფასებელი

არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ კლასს და რომელიც შეფასებას ახორციელებს. კონკრეტული საგნის შემფასებელი (საგნის/კლასის მასწავლებელი):

- ქმნის შეფასების ინსტრუმენტს;
- აფასებს მოსწავლეს და აგროვებს მოსწავლის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;
- შეფასებასთან დაკავშირებით იღებს სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- შეფასების შემდეგ იძლევა მკაფიო და კონსტრუქციულ უკუკავშირს და მითითებებს,
- აწარმოებს შეფასებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს.